საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-778

21/09/2018

ქ. თბილისი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ 35კვ ძაბვის საჰაერო და საკაბელო ეგხ „მეწიეთის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტისა და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1.გაიცეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ 35 კვ ძაბვის საჰაერო და საკაბელო ეგხ „მეწიეთის“ მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე სკოპინგის დასკვნა #37; 06.09.2018წ.

2.შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #37; 06.09.2018წ სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;

3.ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“;

4.ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ენერჯი დეველოფმენტ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5.ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;

6.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი